


1 სექტემბერი სოფლის დღეა.

ახალ სასწავლო წელს გილოცავთ, მეგობრებო!

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროკატორად ვახუშტი კახიანი, შერტოვით!



საპროკატორო სამსახური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროკატორთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОКТОРОВ

31 აგვისტო, კვირა, 1986 წ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოგავლის

მოთხოვნების

გათვალისწინებით

უჩვეულოა წლებადელი სასწავლო წელი. არასოდეს ერთბაშად იმდენი ცვლილება არ მოხდარა ჩვენს განათლების სისტემაში, რამდენიც ამჟამად. სკკ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კურსი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მაგრამ მინც განათლებას განსაკუთრებულად ეხება. აღამიანის აღზრდა-ფორმირება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კადრების მომზადება — აი რა არის გარდაქმნა — რეფორმის ამოსავალი წერტილი.

როცა გარდაქმნაზე, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლის რეფორმაზე ვლაპარაკობთ, როცა დღის წესრიგში დგას თაობათა პარამონიული აღზრდისა და ბევრი სხვა საკითხის კომპლექსური გადაჭრის ამოცანა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური კულტურის სოციალური ფუნქციის როლის შემდგომ ამაღლებას. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებში, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში დამატრულად იცვლება ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი დამოკიდებულება. მატერიალურ-სპორტული ბაზის ქსელის გაფართოება-განმტკიცება ხელს უწყობს მასობრიობის შედეგად ზრდას.

ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგა ათობით სპორტული ნაგებობა, რომლებიც გათვალისწინებულია მოსწავლე და მწვინების სოციალური ფუნქციის როლის შემდგომ ამაღლებას. მათგან უკვე წარმატებით ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლის რეფორმა, ამ სასწავლო წლიდან კი დაიწყება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის გარდაქმნის განხორციელება. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია იმ მოთხოვნებთან, რასაც დღევანდელი და მთ უფრო ხელსაყრელი დღე უყენებს ადამიანებს, რასაც ცხოვრება გვიპირისპირებს. და რაღა თქმა უნდა, კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამით უკვლავური კეთდება საინფორმაციო, რომ ფიზიკური კულტურა ადამიანის საერთო კულტურისგან განუყოფელი ნაწილი იყოს, რომ ფიზიკური ვარჯიში ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცეს, რასაც, პირველ ყოვლისა, სკოლაში ეყრება საფუძველი. სკკ პროგრამაში, რომლის ახალი რედაქცია პარტიის XXVII ყრილობამ დაამტკიცა, ნათქვამია: „მოსახლეობის ჯანსაღების გაკეთებაში, სპორტის პარამონიულ განვითარებაში, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში იზრდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი დანერგვის მნიშვნელობა. საქმე იხე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველი ადამიანი სიყმაწვილიდანვე ზრუნავდეს თავისი ფიზიკური სრულყოფისათვის, ჰქონდეს ცოდნა მივიწინისა და სამედიცინო დახმარების დარგში, ეწეოდეს ჯანსაღ ცხოვრებას“. ეს საპროგრამო მოთხოვნა საფუძვლად უდევს იმ გარდაქმნებს, რომლებიც განათლების სისტემის ყველა რგოლში ხორციელდება.

ახალ სასწავლო წელს მუდამ ახლავს ახალი ამოცანები. ასე იყო მუდამ და ასე ახლავს, მაგრამ ვიმეორებთ წლებადელი სასწავლო წელი მინც გამორჩეული და განსაკუთრებულია. განათლების ორგანოების საზრუნავი საერთოა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნევს ყველაფერს, რაც თაობათა აღზრდას ეხება — საყოველთაო განათლება ხომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციური მონაპოვარია.



ჭაღრაკის დედოფლის გვირგვინისათვის სვალ სოფიაში...

1 სექტემბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიხსნება მსოფლიო პირველობის მატჩი ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონ მია ჩიბურდანიძესა და ამ წოდების პრეტენდენტ ელენა ახმლოვსკაიას შორის (ორივე — სსრ კავშირი).


ფიდე-ს დედოფლებით, ეს მატჩი ორ ქვეყანაში — ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირში გაიმართება. შეჯიბრების პირველ ნახევარს უმასპინძლებს სოფია, მეორეს — ბორჯომი.

მატჩში 16 პარტია გათამაშდება. გამარჯვებისთვის საჭიროა 8,5 ან 9 ქულის მოგროვება. ყაიმის (8:8) შემთხვევაში მია ჩიბურდანიძე შეინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს.

პირველი შეხვედრა მოეწყობა 2 სექტემბერს. ბორჯომში პირველი პარტია (მატჩის მეცხრე პარტია) შედგება 2 ოქტომბერს.

მეტოქენი კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ. პარტიების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, გადაღებული პარტიების დამთავრებისა — ოთხშაბათი, პარასკევი, კვირა. ორშაბათობით მოქალაქეები დაისვენებენ.

მატჩის მთავარი მსახია იუგოსლავიელი საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი რუდოლფ მარინი. სოფიაში მას დაეხმარება საერთაშორისო არბიტრი გიორგი ტოდოროვი (ბულგარეთი), ბორჯომში — საერთაშორისო არბიტრი ეკატერინა პეკარსკაია (მოსკოვი).



მია ჩიბურდანიძე.



ელენა ახმლოვსკაია.

თითოეულ მეტოქეს ორი სექუნდანიტი ჰყავს. მ. ჩიბურდანიძის სექუნდანიტი არიან დიონისტატი გენალი კუზმინი (ვოროშილოვგრადი) და საერთაშორისო ოსტატი იგორ პოლოვოლინი (ლენინგრადი), ე. ახმლოვსკაიასი — საერთაშორისო ოსტატი იური ანიკაევი (მოსკოვის ოლქი) და ოსტატი ალბერტ კაპენგუტი (მინსკი).

საპელაციო კომიტეტს უხელმძღვანელებს საერთაშორისო არბი...

ნ. პ. 3 33.

ინფორმაცია

ნიუ-იორკი. გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა — ჩოგბურთელთა ერთერთი ყველაზე საპრესტიჟო ასპარეზობა. ეს შეჯიბრება ერთერთი უძველესია მსოფლიოში: წლებუ იგი ასმეხუთედ ტარდება. პირველ წრეში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მოსკოველი ანდრე ჩენსოკოვის წარმატებას უკვე ვიუწყებოდით. ჩენსოკოვმა მეორე წრეშიც შეასანიშნავდ ითამაშა და დაძაბულ, თითქმის ოთხსაათიან ბრძოლაში დამარცხა მსოფლიოს მე-11 ჩოგანი მიკაელ პერნფორსი (შვეიცია) — 6:4, 4:6, 4:6, 6:3, 6:3.

მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალსატენილ-მურთ სპორტში. პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება ფიგურულ სრიალში. ქალთა შორის საუკეთესონი იყვნენ დუბნელი სპორტსმენები — 7000 ქულით პირველი ადგილი დაიკავა გალინა გორობიოვა, მსოფლიოს მრავალჯგის რეკორდსმენა ნატალია რუმიანცევა 6970 ქულითა მოაგროვა და მეორე ადგილს დასჯერდა. მინსკელი ელენა მაზოვკა მესამე იყო — 6920 ქულია. ვეთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ალექსანდრე მინენკი (მინსკი) — 8430, 2. სტანისლავ კორნევი (დუბნა) — 8100, 3. სერგეი შოლნიკოვი (ანდროპოვი) — 7560.

„ივადის თახვა“

ბოლო გაბრის მოიგას


ბელგოროდი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დამთავრდა საკავშირო ალექს ცენტრალური კომიტეტის პრისის — „იმედის თასის“ ნახევარფინალური გათამაშება. გუშინწინ, 29 აგვისტოს, ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იცინამ ტურის შეხვედრათა შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა საქართველოს ქაბუკთა ნაყრბისთვის, რომელმაც ვადაძე მოიპოვა ფინალური ტურნირის საგზური. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა ბოლო მატჩიც კარგად ჩატარა და საკმაოდ იოლად დაამარცხა ყაზახების ნაყრები — 2:0. გოლები გაიტანეს ასსარ ბეკოვემა (მე-9 წუთზე) და რიან კერძევაძემ (35-ე წუთზე).

ფინალური ტურნირის მეორე საგზურისთვის რუსეთის ფედერაციისა და უზბეკეთის წარმომადგენლები იბრძოდნენ. აღსანიშნავია, რომ მიზნის მისაღწევად უზბეკ ქაბუკებს ფრეც ჰყოფნდათ, რუსეთის ფედერაციის ნაყრებს კი გამარჯვება სჭირდებოდა. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა და კარგა ხანს მწილი იყო გამარჯვებულის გამოცნობა. შეხვედრის მიწურულს უპირატესობა ხელთ იგდეს მასპინძლებმა, რუსეთის ფედერაციის ქაბუკებმა, რომლებმაც ზეინზედ რამდენიმეჯერ მიაღწიეს წარმატებას. საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს ანგაროშით 4:1 და საქართველოს გუნდთან ერთად ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ბოლო ტურის მესამე მატჩში ლიტველებმა სძლიეს მოლდაველებს — 2:1. ბელგოროდის ნახევარფინალში...

ღმი ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. საქართველო — 9 ქული; 2. რუსეთი — 7; 3. უზბეკეთი — 6; 4. ლიტვა — 5; 5. მოლდავეთი — 2; 6. ყაზახეთი — 1. შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული იყო სპეციალური პრისები. საუკეთესო მეკარის ჯილდო გადაეცა ვლადიმერ პნელისკოვს (რუსეთი), საუკეთესო მცველის პრისი — ტიმურ ალექპეროვს (რუსეთი), უძლიერეს ნახევარმცველად აღიარეს საქართველოს ნაყრების კაბიტანი მამუკა აფციანური, ხოლო საუკეთესო თავდასხმელად — ასევე ჩვენი გუნდის წევრი ასსარ ბეკოვი. საუკეთესო ბომბარდირის პრისი გადაეცა სეიფულ იუსუპოვს (უზბეკეთი), რომელმაც 3 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაყრებს ხელმძღვანელობენ ნიკოლოზ ამირჯანი (უფროსი მწვრთნელი), ჯემალ ანთიძე (მწვრთნელი) და მეველდ მიმინოშვილი (გუნდის უფროსი). დანარჩენი ორი ნახევარფინალური ტურნირი ჩატარდა კიროვკაში და ბარანოვიში. იქ წარმატებით იასპარეზეს უკრაინის, სოთრტსაზოგადოება „შრომითი რეზერვის“ საკავშირო ნაყრების (კიროვკაში), მოსკოვისა და ბელორუსის (ბარანოვიში) წარმომადგენლებმა. ოქტომბრის მიწურულს ეს გუნდები და მათთან ერთად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის კოლექტივები, მონაწილეობას მიიღებენ „იმედის თასის“ ფინალურ გათამაშებაში, რომელიც სტავროპოლის მხარის ქალაქ ნევისომისკში გაიმართება.



სვალ პირველი სექტემბერია. ზღვა სიხარული ელით მოზარდებს, იმათაც, ვინც პირველად შეიღებეს სკოლის კარს, და იმათაც, ვისთვისაც უცხო არ არის ეს ბენდირი წუთები. ხვალ კიროვის სახელობის პარკში მუშაობას განახლებს სპორტ მოკრძევა აღზრდის კერაც, რომელსაც ამიერიდან ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლა ეწოდება. ფოტოზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო, ამ სკოლის აღსაზრდელებს, ქართული კრივის ხელოვნებელ იმედს ხედავთ.

ნ. პ. 2 33.

აწონსი

ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო დილფსტატი თამაზ გიორგაძე ესპანეთის საკადრაკო ფედერაციის მიწვევით ამ ქვეყნის მოჭადრაკე ვეთა ოლიმპიურ ნაყრებს ავარჯიშებს. თ. გიორგაძე ორიოდე დღის წინ დაბრუნდა ესპანეთიდან და გუშინ რედაქციაში გვიწვია. მან შემოგვთავაზა წერილი კასპაროვ — კარაოვის მატჩ-რევენანს პირველი ნახევრის შესახებ, რომლის ერთ ნაწილსაც იგი ესპანეთიდან აღევნებდა თვალს. ამ წერილს „ლელოს“ 2 სექტემბრის ნომერში ვთავაზობთ. თბილისელი დილფსტატის ეს სტატია იმიტაცაა საინტერესო, რომ მას კარგად აქვს შესწავლილი მსოფლიო პირველობაზე მატჩის ორივე მონაწილის „სამშა-რეული“. იგი ხომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ანატოლი კარაოვის მწვრთნელი-ონსოლოკატი იყო.

ოსტატობის კარიკატურა

დამსახურებული უფლება

შეიქმნა კიდეც ერთი ოლიმპიური რაზმის სკოლა

„ზურაბიშვილის“ რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტული სკოლა 1979 წელს დაარსდა და მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ევროპის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე.

კრივის სკოლა პირველია საქართველოში. ჩვენ, სკოლის დღევანდელი ხელმძღვანელობა, მობარული ვართ, რომ დავით კვაჭაძისა და ზურაბ გუნიას დაწყებული საქმე შეაგზავნა არ მთავრდებოდა და ბევრი ქართველი კრივის მოყვარულის ოცნებას შეეახებოდა ფრთები. სწორედ მათი და მთელი პედაგოგიკური სისტემის, იმ მხარდაჭერის

კრივის საიდუმლოებას ჩვენთან სულ 382 მოზარდი ეუფლება. მათ აღზრდას 12 კვალიფიციური მწვრთნელი ემსახურება. თბილისელ კრივის მოყვარულ ქაბუკებს შეეახსენებთ ჩვენს მიმართ—თბილისი, კიროვის სახელობის პარკი, ყოფილი „ბურევესტნიკის“ კრივის სპორტსკოლა. აქ თქვენს განკარგულებაშია დარბა-

ცხაბაძის რაიონის სოფელ ძველი სენაის საშუალო სკოლა (დირექტორი მ. ძიძიფური) ერთ-ერთი უძველესია რესპუბლიკაში — ორიოდე წლის წინათ ასე წელი შეუსრულდა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ამ სკოლაში უსწავლიათ ჩვენი ერის სასიკაძულო შეილებს — კონსტანტინე გამსახურდიას, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას, პეტრე ქავთარაძეს...

ტრესტის №1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო დიდი დახმარება გაუწიეს ამავე სკოლის უფროსებს და მათი მშობლებმა. ერთიანი ძალით სკოლის ახალი შენობა დროულად ჩაიდგა მწყობრში.



კრივის სკოლის მოსწავლეები და მწვრთნელი დავით კვაჭაძე.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ბოლო სამი წლის პირველობაზე საქართველოს გუნდები პირველ სამეულს არ გაცილებიან, ორჯერ II ადგილზე გავიდნენ, ხოლო წლებს — მესამეზე.

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ქაბუკთა წლებანდელი საქართველოს პირველობისთვის სხვაგვარი ერთად ემზადებიან ამ საბჭოს ჩემპიონები ლუხუმ თოთიაური და არტურ სალატელიანი, ხოლო ალექს პატარიძე და ნიკოლოზ ხორბალაძე ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრები არიან. და ბოლოს, წლის მთავარი ასპარეზობისთვის — სრ კავშირის ხალხთა IX სპორტკაიდაისთვის ემზადებიან სპორტსკოლის აღსაზრდელები გია სალდაშვილი, ერისი მარგარიანი, დავით შარვაშიძე და ბესო ლურჯია. ამ წარმატებათა საწინდარი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელების ზურაბ გუნიას, როლანდ კვაჭაძის, ოთარ რაგიმულის, ვალერი ბურჯანაძისა და სხვათა მუხლმოთღვლილი შრომაა. იმ, ამ მოღვაწეებისთვის სულ ახლახან საქართველო საბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების პროფკავშირების პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტსკოლას ოლიმპიური რეჟიმის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის

სა და თანადგომისთვის, რასაც ყოველდღიურად ვგრძნობთ, დიდი მადლობა გვინდა მოგახსენოთ საქართველოს მოფრთხილეს, სპორტსაქმის, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელებს. მათი მოწოდებებისა და მხარდაჭერის გარეშე საგრძნობლად გავიჭინაურდებოდა სასწავლო მიზნის განხორციელებას.

...კარს მოგვადგა პირველი სექტემბერი. ჩვენი სასწავლებელი, აქ უკვე ოლიმპიური რეჟიმის კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლა, სამეცადინოდ იწვევს კრივის მოყვარულ 10-12 წლის მოზარდებს. შეგახსენებთ, რომ სკოლაში არსებული 27 ჯგუფიდან 22 მოქმედებს თბილისში, დანარჩენი ხუთი — ქუთაისში, სოხუმიში, ახალციხესა და ტყიბულში.

ზი სპეციალური აღჭურვილობით, გასახდლები, საშსპე, სამედიცინო მომსახურება. პირველ ცვლაში მეცადინეობა დილის ათის ნახევრიდან იწყება, მეორე ცვლაში — დღის სამი საათიდან. სასწავლებელში საბუთების შეიმოქმედდა შეიძლება მთელი სექტემბრის ჩამოიღებ. მოზარდებმა უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობა და ჯანმრთელობის ცნობა რაიონული პოლიკლინიკიდან. მეცადინეობა პირველი სექტემბრიდან იწყება.

მაშ ასე, ოლიმპიური რეჟიმის სკოლა ელის ქართული კრივის მომავალს — ნიჭიერ და შრომისმოყვარე თაობას.

დავით შამთარაძე, ოლიმპიური რეჟიმის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.

ხელოვნების სკოლის ახალი სამართლებრივი შენობა ფართოდ გაუღებს კარს მოსწავლეებს. სასწავლო კორპუსის გვერდით აგებულია ოთხსართულიანი სპორტული კომპლექსი — დარბაზი, ტანვარჯიშული ოთახი და სხვადასხვა სათავსებით. სკოლის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

მშენებლებს (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-12

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

საპირველსაქმეობროდ

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

ბავშვთა და მოზარდთა ცხაბაძის რაიონის სპორტული და რაზმებისთვის და ღია მოედნებით

ლენინგოროს აიგო

ლენინგოროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ი. მარგველი) და რაიონის განათლების განყოფილებამ ახალი სასწავლო წლისათვის კარგი საჩუქარი მიუძღვნეს მოზარდებს — 1 სექტემბერს აქ საზეიმოდ გაიხსნება კომპლექსური სპორტული სკოლა. ახალ სკოლას აქვს საუკეთესო სპორტული ინვე-

ლენინგოროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ი. მარგველი) და რაიონის განათლების განყოფილებამ ახალი სასწავლო წლისათვის კარგი საჩუქარი მიუძღვნეს მოზარდებს — 1 სექტემბერს აქ საზეიმოდ გაიხსნება კომპლექსური სპორტული სკოლა. ახალ სკოლას აქვს საუკეთესო სპორტული ინვე-

ლენინგოროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ი. მარგველი) და რაიონის განათლების განყოფილებამ ახალი სასწავლო წლისათვის კარგი საჩუქარი მიუძღვნეს მოზარდებს — 1 სექტემბერს აქ საზეიმოდ გაიხსნება კომპლექსური სპორტული სკოლა. ახალ სკოლას აქვს საუკეთესო სპორტული ინვე-

სამოსდავაეაქვსად...

ზნაღ, პირველ სექტემბერს, ჩვენს სკოლებში ახალი სასწავლო წლის დაწყების მარჯვენა მხარეს აწკიანდება. სამოსდავაეაქვსად სექტემბერს ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლები ახალი სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების ვითარებაში ხვდებიან. ამ საზეიმოდ დღეს „ლელოს“ კორესპონდენტი ესტუმრა ჩვენი სპორტისა და ქართული სასკოლო ფიზკულტურული მოძრაობის პატრიარქს, საქართველოს დამსახურებულ მსწავლელს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი მერკვილაძეს და სთხოვა მას პასუხი მიეცა რამდენიმე შეკითხვას



ბატონო გიორგი, როგორი იყო საბჭოთა სასკოლო ფიზკულტურული მოძრაობის პირველი წლები საქართველოში?

— 1921 წელი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისთვის ცხოვრების ყველა სფეროში რთული პერიოდი იყო. სკოლასაც საქაილ ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი. სახალხო ჰანათლების ახალი პროგრესული სისტემა, რომელიც დრომ მოიტანა, ჩვენშიც უნდა დანერგულიყო. ამ მიზნის მისაღწევად მამია ორახელაშვილმა, ოდნავ მოგვიანებით კი მარია ორახელაშვილმა გარს შემოიკრიბეს ყოფილი სპორტული საზოგადოება „შეგარდენის“ მოწინავე და ინიციატივებიან წარმოადგინეს. აქ იყვნენ ქართული

სპორტის ღირსეული მოამბენი, სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესების ხალხი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, მეტალურგი ირაკლი ლორთქიფანიძე, პეტი მიქელ პატარიძე, ინიცირებ ბორის გერასიმოვი, სტუდენტი არჩილ ბაქრაძე, სხვები და სხვები...

და თქვენ მათ შორის?

— დიან, მათ შორის მეც ვახლდით. მაშინ ერთ-ერთი გავთვის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე ვმუშაობდი (მდივანი პეტე გიორგი ლეონიძე იყო), მაგრამ ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, ჩემი მეგობრების მსგავსად, ღვიძლ საქმედ ვთვლიდი და ახალი სასკოლო სისტემის შექმნაში მონაწილეობა საპატიო, საშვილიშვილო საქმედ მიმაჩნდა.

რა მიზანი გქონდათ მაშინ დაახლოებით?

ზრდის მოწინავე, ახლებური სისტემის შექმნა. ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა ყველას გვესმოდა და, ვინაიდან რეაქციური სწავლება სავალდებულოდ გამოცხადდა, ჩვენს მიზანს ფრთები სწორედ სკოლაში უნდა შეესხა. ასეთ პირობებში ფიზიკური აღზრდა, ბუნებრივია, ყველა მოზარდისთვის სავალდებულო გახდებოდა.

კონკრეტულად რა ვაკეთებდით პერიოდში?

— სასკოლო ფიზკულტურის ძირეული რეორგანიზაცია უფრო მოგვიანებით, 30-იანი წლების დასაწყისში მოხდა. ჩვენ, მაგალითად, ჯერ კიდევ 1934 წელს საბჭოთა კავშირში პირველებმა დავარსეთ სპორტული სკოლები. მეტი ჩვენი გამოცდილება სხვაგვარად გადიოდა. მნიშვნელოვანი სახალხო ფიზკულტურის კლასგარეშე მუშაობის ფიზკულტურის მასწავლებლის შტატის შემოღებაც. იმ პერიოდში სხვა ბევრი სახალხო დაწესებულება, რასაც მთელი კავშირის მასშტაბით დიდი რეზონანსი მოჰყვა.

ყველაზე ცხადად მესხიერებაში რომელი სექტემბერი ჩაგრია?

— ყველაფრის გახსენება ძნელი საქმეა — დიდი დრო გავიდა. მაგრამ პირველი ომის შემდგომი სექტემბერი სხვაგვარად ჩამეხატა გონებაში, ვინაიდან ახალ იმედებთან იყო დაკავშირებული.

როგორ გეხსებათ სასკოლო რეფორმის განხორციელება ჩვენს სკოლებში?

— პირველ ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ რეფორმამ სკოლებს ფიზიკური აღზრდა ახალი კომპლექსური პროგრამა დაუბრუნა. ეს დიდი საქმეა.

რაში გამოიხატება იგი?

— ყველა ღონისძიება, რაც ამ კომპლექსური პროგრამით უნდა გავატაროთ, ძირითადად ოთხ პუნქტშია თავმოყრილი. პირველი პუნქტი სარეჟიმო ღონისძიებებს გულისხმობს: დილის ვარჯიშს, დასვენების დროს თამაშებისა და ფიზიკური ვარჯიშების მოწყობას, სხვა საგნების გაკვეთილებზე ფიზკულტურული წუთების შემოღებას...

ეს ყველაფერი ჩვენს სკოლებში ვინაა? ხომ იყო დანერგული?

— რა თქმა უნდა, იყო. მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ახლა ისინი სასკოლო ცხოვრების შემადგენელ ნაწილად უნდა ვაქციოთ, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვაძლევთ.

დანარჩენი სამი პუნქტი რაღას გულისხმობს?

— მეორე პუნქტის თანხმად, ხარისხობრივად უნდა გაუმჯობესდეს ფიზკულტურის გაკვეთის შინაარსი, რომელსაც ერთი სასწავლო წლის პერიოდში 70 საათი ეთმობა. მესამე არანაკლებ მნიშვნელოვან პუნქტია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაცია. აქ პირველ ყოვლისა წერილობით და სექციური მუშაობა იგულისხმება.

მეორე პუნქტში ლაპარაკია უმოტივოდ მოსწავლეთა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაზე. პიობლინამის ეპოქაში ფიზიკურ დატვირთვას, პაერზე ყოფნას, მოძრაობას ან უბრალოდ, სიარულსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. წინათ აუცილებელი იყო მხოლოდ მეორე პუნქტის დაცვა, ახლა კი ოთხივე პუნქტი სავალდებულოა.

რა სახალხო ღონისძიებები მისწავლეთა მომავალი სპორტკაიდაის სტრუქტურაში?

— რეფორმის სახალხო ცხადია, იგრძნობა მოსწავლეთა სპორტკაიდაეში, რომელთა პროგრამა სპორტის 27 სახეობას მოიცავს. ჩვენ, მაგალითად, ჩვენი საყრდენი სახეობები დაგვიდგინეს და ვალდებულნი ვართ ამ სახეობებში გამოვიდეთ. შეგვიძლია სპორტმენები გამოვიყვანოთ სხვა სახეობების პირად შეჯიბრებებშიც, ოღონდ ერთი პირობით — მონაწილეს დეპუტატი დადგენილ უქეთესი თანრიგი უნდა ჰქონდეს. ვარდა ამისა, ამერიკიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სპორტკაიდაის ყოველი მონაწილის აკადემიური მოსწავლეთა საშუალო ნიშნის (აქამდე ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა). დაბოლოს კიდევ ერთი სახალხო: სპორტკაიდაის პროგრამაში შეტანილია მეცხრეკლასიანი შეჯიბრება (სასწავლო პროგრამის მიხედვით) შეიძლება ცალკე ქალაქებისა და ცალკე სოფლის სკოლების რესპუბლიკურ პირველობებში გამარჯვებული კოლექტივებისთვის.

დასვენება-სიამოვნება, ხასიათი-ქართული

(დასასრული)

ლმაც რამდენიმე მარტი ითამაშა ოსტატთა გუნდში. ეს არის ღურგალი, პირველთაორიგოსანი თენგიზ აფციაური, რომელიც მოსკოვის „ლოკოპოტივის“ მარცხენა გარემარბად თამაშობდა. გუნდის კარს სამხედრო იცავს მისი ბიძაშვილი ნუკრი აფციაური. იგი განსაკუთრებით თამაშად გრძობს თავს მცველებს — მემონტაჟე ზურაბ ხუციშვილისა და სპეცემონტაჟეთა ბრიგადის ვალტერ ელბაქიძის ზურგს უკან. დაცვა ისეთივე მტკიცეა, როგორც მათ მიერ აღმართული რკინაბეტონის კარკასები.

ფეხბურთი — თავისთავად, მაგრამ ქართველ ბამბლებს უყვართ სპორტის სხვა სახეობებიც. იმავე კვირისას, ელბაქიძისა და სხვების გარეშე შეიქმნა ხოლმე კალათბურთის, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის შეჯიბრებათა განაცხადები.

კალათბურთელთა გუნდის ბირთვს შეადგენენ ელქტრიკოსი გოგი ზემბულოძე, შრომისა და სხეულის განყოფილების ინჟინერი ლუბიშვილი, მემონტაჟეთა ბრიგადის გოჩა წურიაშვილი. მუშაობისაგან თავისუფალ დროს, რაც ასე ცოტა აქვთ მშენებლობაზე, ცდილობს ვიხსენიოს ახალგაზრდობის წლები, უჩვენოს თავისი სპორტული შესაძლებლობები „საქმამშენის“ უფროსმა გიორგი ლულუაშვილმა.

რაიონული შეჯიბრებების მსგავსი პრიზიორები არიან თავისუფალი სტილის მოკიდავეებიც. ლიდერებად სამართიანად ითვლებიან „უზის“ მძღოლი სპორტის ოსტატი უგულუა და ბრიგადირი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ელბაქიძე. იკაბიაში დღეს არ იწვევს ძალისხმევას, მძღოლი ილია გელაშვილის ავტორიტეტითა და ბოლოს, სპორტის ოსტატობის რეზერვში მდებარე მკაცრად ანგარიშს უწყვენ ქართველ მოჭადრაკეთა გუნდის რეალურ ძალას, რომელსაც ხელმძღვანელობს დამხმარე წარმოებულ უფროსი, ცნობილი ქართველი დილოსტრატ ბუხუტი გურგენიძის ძმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი ბაქარი. ჭადრაკი სპორტის საყვარელი სახეობაა ღურგალთა ბრიგადის ცეზარ ფირცხალავასათვის, მომარაგების განყოფილების გამგის ავთანდილ ლომიძისთვის, რომელიც „საქმამშენის“ პროფკავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს.


ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის გარდა ქართველი ბამბლები, ალბათ ორგანიზებულად დასვენების სხვა ფორმებსაც იყენებენ. — ვეითხებით პროფკავშირულ წინამძღოლს. — რა თქმა უნდა. ამისათვის ჩინებულ პირობებს გვიქმნის თვით ბუნება. ბევრი ჩვენგანი სწორედ აქ, ციმბირში ვახდა სოკოს, ტყის სხვა ნობათის დიდი მოყვარული. მშენებლებს ძალიან უყვართ მდინარე იკაბიაზე თევზაობა. „ჯანმრთელობის“ მარშრუტს უწოდებენ მახლობელი სამკურნალო წყაროებისაკენ მიმავალ გზას. აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც — ცხელი წყარო. ქართველმა მშენებლებმა მას „თბილისი“ უწოდეს და შეფობის წესით იკისრეს მოაწყონ დასვენების ზონა. უკვე მიზიდეს საჭირო მასალები პატარა სამიწებელი კორპუსის, აგრეთვე სამკურნალო პროცედურების დარბაზის ასაგებად. ექიმების აზრით, აქაური გოგირდწყალბადოვანი აბაზანები ძალზე სასარგებლოა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. დროთა განმავლობაში აქ შეიძლება აშენდეს სანატორიუმი,

და არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისა... ჯანმრთელობის კერის მოწყობის უნართან ერთად ჩვენმა თანამებამუშავეებმა თავიანთი გემოვნება და შესაძლებლობანი გამოავლინეს იკაბიაში დამის ცენტრალიზებული სათბურის მშენებლობის დროსაც. მართალია, ყველას არ სჯეროდა, რომ რეალური იქნებოდა მთელი წლის მანძილზე ციმბირის მკაცრ პირობებში ქორთა კიტრის, პამიდორის, მწვანის, ხახვის მოყვანა.

მართლაც, ბევრი სიძნელის დაძლევა მოუხდათ. კერძოდ, სათბურის მშენებლობისათვის მებრუნელი სოფლიდან მოზიდეს რამდენიმე ათეული კუბური მეტრი შავი მიწა. დროებითი საჭედიდან გაიყვანეს 150 მეტრი სიგრილის სათბობი და წყალმომარაგების მილსადენები. მოზიდეს სასუქები. სათბურის საშტატო განრიგში მხოლოდ ერთი მუშაკია — ოლა წოწოლაშვილი, მაგრამ მას ბევრი მოხალისე თანაშემწე ჰყავს. ისინი ეხმარებიან ბარჯაში, თონხაში, მოსავლის მოწევაში. ყოველდღიურად ასობით კილოგრამი ბოსტნეული შედგავიან ფასებში მიღის დამის მალხონის დახლზე, სასადილოში, სკოლაში, საბავშვო ბაღში. ახლა „მინიატიურული“ სათბურები მოაწყო ქართველ მშენებელთა თითქმის ოცმა ოჯახმა. ხოლო ზოგიერთმა გოგების გაზრდა გადაწყვიტა.

მაგრამ ქართველ ბამბლთა დასვენებას სრულყოფილად მაინც ვერ ჩავთვლით. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებელმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, სატელევიზიო პროგრამა „მე საქართველო ვიხილე ბამბე“, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი თანამემამულეების — მშენებლების შესახებ, რესპუბლიკის მრავალმა ტელემაყურებელმა ნახა. განა არ შეიძლება, რომ კიდევ ერთი პირი გადავიღოთ და გავუშვათ სატელევიზიო ფილმის გმირებს. შრომითი მიღწევების ეს მატრიანე სამართლიანად გახდება მათი საკუთრება, თავისებური „მეთოდური დამხმარე მასალა“ ქართველ ბამბლთა ახალგაზრდა თაობებისათვის. განა საქართველოს სახკინის არ შეუძლია იკაბიაში გაგზავნოს ეკრანზე გამოსული ახალი ქართული ფილმები, რესპუბლიკის სახელმწიფო წიგნის პალატა — მშენებლებში მოამარაგოს ქართული ლიტერატურის ცალკეული გამოცემებით, ქართულ წიგნებს ხომ ასე მოელოა იკაბიაში...
სხვათა შორის, თავიანთი ყურადღება მშენებლებს არ უნდა მოაკლდეს სხვა ორგანიზაციებისა და უწყებების წარმომადგენლებმა. ახლახან რესპუბლიკის საღებავების ორგანიზების მიერ მიღებული დადგენილებით, მაგალითად, ვაჭრობის სამინისტროს დაევალება „საქმამშენის“ მუშა-მოსამსახურეებს გაუგზავნოს ეროვნული სამხარეულოს კვების პროდუქტები — ლობიო, სიმინდის ფქვილი, ქართული ყველი და სხვა. როგორც ჩანს, სამინისტროს ხელმძღვანელებს მოუხდებათ წარსულის კეთილი გამოცდილების გახსენება, როცა „ცეკავშირთან“ ერთად მიზნობრივი დანიშნულებით ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებს უგზავნიდნენ ამგვარი პროდუქტებით სავსე სპეციალურ კონტეინერებს.
უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს ჩვენი თანამემამულეების მისამართი ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე, გვახსოვდეს და არ გავიწყდებოდეს.

ზურაბ გრამელიშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.
დაბა იკაბია,
ჩიტის ოლქი.



ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა

ადგილზე სიარული
ფეხები შეავრთეთ, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ და დაიწყეთ ადგილზე სიარული. მკლავები თავისუფლად ამოძრავებთ, მუხლები რაც შეიძლება მაღლა ასწიეთ, წელში არ მოხაროთ, ისუნთქეთ თავისუფლად (სიარული გრძელდება 40-50 წამს).

I პარჯიში — გლავანის აწევა ზევით — განხე
გადგით ფეხები მხრების სიგანაზე, წელში გაიმართეთ: თვალზე: ერთი, ორი — მკლავები გაიტანეთ წინ და ასწიეთ ზევით — განხე, წელში ოდნავ გაიხრეთ, თავი გადასწიეთ უკან და ერთდროულად ღრმად ჩაისუნთქეთ. (თითოეული ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ ან 10-12-ჯერ).
თვალზე: სამი, ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქეთ.

II პარჯიში — გლავანის მარჯვენა წინ გადაჯვარედინება
ფეხები შეავრთეთ, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვალზე: ერთი — მკლავები გაიტანეთ განხე, ხელები მომუქეთ. თვალზე: ორი — მკლავები გაიტანეთ წინ და მოხარეთ მკერდის წინ გადაჯვარედინებით. თვალზე: სამი — მკლავები გაიმართეთ განხე.
თვალზე: ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. მკლავების გადაჯვარედინების ორიგინალური ხან მარცხენა ზემოდან, ხან მარჯვენა. მკლავების განხე გატანისას ჩაისუნთქეთ, მკერდის წინ გადაჯვარედინებისას — ამოისუნთქეთ.

III პარჯიში — ზებანის ზამბარისებრი ბრუნვა მარცხნივ და მარჯვნივ
გადგით ფეხები მხრების სიგანაზე, წელში გაიმართეთ, ოდნავი თვალზე: ერთი — ზებანი მოაბრუნეთ მარცხნივ ბოლომდე და დაიწყეთ საწინააღმდეგო მხარეზე მოძრაობა ანუ ზებანის ოდნავ მო-

რადიო-ტანვარჯიში

(გადმოიხევა რადიოთი 1-30 სექტემბერს)

ბრუნება მარჯვნივ. თვალზე: ორი — შეასრულეთ ზებანის დამატებითი ბრუნე მარცხნივ. თვალზე: სამი — ახლა ზებანი მოაბრუნეთ მარჯვნივ ბოლომდე და დაიწყეთ საწინააღმდეგო მხარეზე მოძრაობა ანუ ზებანის ოდნავ მობრუნება მარცხნივ. თვალზე: ოთხი — შეასრულეთ ზებანის დამატებითი ბრუნე მარჯვნივ.

IV პარჯიში — ზებანის წინ დახრება და გაართვა
გადგით ფეხები მხრების სიგანაზე, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვალზე: ერთი — მკლავები მოხარეთ თავს უკან ნებების კეფაზე მიბჯინეთ. თვალზე: ორი — ზებანი დახარეთ წინ. თვალზე: სამი — გაიმართეთ. თვალზე: ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ტანის წინ დახრისას — ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

V პარჯიში — ფანის წინ-წევითი აწევა
ფეხები შეავრთეთ, ოდნავი. თვალზე: ერთი — მარცხენა ფეხი აიწიეთ წინ და ზევით. თვალზე: ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. თვალზე: სამი — ახლა მარჯვენა ფეხი აიწიეთ წინ და ზევით. თვალზე: ოთხი — ისევ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

VI პარჯიში — ტანის ბრუნვა წინ დახრით
გადგით ფეხები მხრებზე განივად, წელში გაიმართეთ. თვალზე: ერთი — შეასრულეთ ბრუნე მარცხნივ. თვალზე: ორი — მოხარეთ მარცხენა ფეხი, ერთდროულად ტანი დახარეთ წინ და მკლავები გაიტანეთ უკან. თვალზე: სამი — გაიმართეთ მარცხენა ფეხი, გაიმართეთ და მკლ-

ავები დაუშვით ძირს. თვალზე: ოთხი — მარჯვნივ ბრუნეთ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. მომდევნო ოთხ თვალზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვნივ ბრუნით და მარჯვენა ფეხს მოხარეთ. ტანის წინ დახრისას — ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

VII პარჯიში — ახტომები ცალ ფეხზე
ვისაც ახტომები ეძნელება, შეძლია მის ნაცვლად რამდენიმეჯერ ჩაბუქნოს ან ადგილზე იდგოს. ფეხები შეავრთეთ, ცერები ერთად დონი. შეასრულეთ 8 ახტომი ორი ფეხზე; მომდევნო 8 ახტომი შეასრულეთ მარცხენა ფეხზე მარჯვენის წინ გატანით; შემდეგ ახტომი-მარჯვენაზე მარცხენის წინ გატანით; შემდეგ 8 ახტომი, ოც ორივე ფეხზე და ა. შ. (ახტომები გრძელდება 30-40 წმ).

VIII პარჯიში — მოღუფნა ტანის დახრება წინ და განხე
ფეხები შეავრთეთ, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვალზე: ერთი — ზებანი მოაღუფნეთ და ნახევრად დახარეთ წინ — მარცხნივ, ერთდროულად ტანის სიმიძე გადაიტანეთ მარცხენა ფეხზე, მარცხენა მოაღუფნეთ და ასწიეთ ცერზე ზევით. თვალზე: ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. თვალზე: სამი — ზებანი მოაღუფნეთ და ნახევრად დახარეთ წინ — მარჯვნივ, ერთდროულად ტანის სიმიძე გადაიტანეთ მარცხენა ფეხზე, მარჯვენა მოაღუფნეთ და ასწიეთ ცერზე ზევით.

თვალზე: ოთხი — ისევ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. თვალზე: სამი — ზებანი მოაღუფნეთ და ნახევრად დახარეთ წინ — მარჯვნივ, ერთდროულად ტანის სიმიძე გადაიტანეთ მარცხენა ფეხზე, მარჯვენა მოაღუფნეთ და ასწიეთ ცერზე ზევით. თვალზე: ოთხი — ისევ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. **I და VIII ვარჯიშები სრულდება ნელი, ხოლო დანარჩენი — საშუალო ტემპით.**

სპორტული სექტემბერი

- 5-7. წყალში ხტომა — ს. შალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება. თბილისი.
- 6-8. ქართული კიდაობა — საქართველოს გუნდური პირველობა — აღმოსავლეთი ზონა. ცხინვლი.
- 6-10. ტყვის სროლა — საქართველოს პირველობა. იუნიაორთა (1966-67 წ.წ. დაბადებულნი), კაბუთა (1968-69) და გოგონათა (1966-69) შორის. სოხუმი.
- 10-15. აფროსნობა — საბჭოთა კავშირის გმირის ი. იოსელიანის მემორიალი. ბათუმი.
- 11-22. მოამსვლელობა — რესპუბლიკური ალბინიდა. ცენტრალური კავკასიონი.
- 12-14. კლასიკური კიდაობა — საქართველოს თასის გათამაშება. ქუთაისი.
- 13-19. აფროსნობა — საქართველოს ღია პირველობა. ბათუმი.
- 14-17. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა — საქართველოს ჩემპიონატი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში (კაბუთა შორის (1969-70 და 1971-72 წ.წ.) დაბადებულნი. ბაქურიანი.
- 16-21. ჩოგბურთი — საერთაშორისო შეჯიბრება გოგონათა და ქაბუთა შორის (1967 წ. დაბადებულნი). თბილისი.
- 18-19. ბატუტზე ხტომა — რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს აკაკი ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე ახალგაზრდებს შორის. თელავი.
- 20-22. ქართული კიდაობა — საქართველოს გუნდური პირველობა. დასავლეთი ზონა. ტყიბული.
- 21-23. სათხილამურო რბოლა — საერთაშორისო ასპარეზობა ბაკურიანი.
- 24-27. ხამბო — საქართველოს თასის გათამაშება. მესტია.
- 26-28. კლასიკური კიდაობა — საქართველოს პირველობა 1966-67 წ.წ. დაბადებულ იუნიაორთა შორის. ხობი.
- 27-28. ძალოსნობა — საქართველოს ჩემპიონატი სიმიძეების აწევაში. საგარეჯო.
- 27-30. ფრენბურთი — საქართველოს პირველობა 1968-69 წ.წ. დაბადებულ ქაბუთა შორის. ბათუმი.
- 2-28 X. კადრაკი — მსოფლიო პირველობის მარტი ქალთა შორის. ბორჯომი.
- 28 IX-23 XI. ხელბურთი — საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის (II წრე). მიმოსვლით.
- 30 IX-5 X. ჩოგბურთი — საქართველოს ღია ჩემპიონატი. თელავი.

მკლავისწრა

საბავთა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს შტუტგარტში ევროპის ჩემპიონატზე. 20 მეტრ დისტანციაზე მორბენალ შორის საუკეთესო იყო ულიანოვი (20.5 წამი).


პერანა და ეთიარში

ცენტრალური ტელევიზია
ავგუსტო. რიტმული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირონი — 10.30 (1); ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში — 15.55 (1); 23.15 (1); მსოფლიო თასი ტანვარჯიშიში (გადაცემა ჩინეთიდან) — 18.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალსაბრტყელ სპორტში — 18.45 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 19.00 (2); „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 20.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 0.15 (1).

I სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 9.40 (1); მსოფლიო თასი ტანვარჯიშიში (გადაცემა ჩინეთიდან) — 23.55 (1).

საპარტიველოს ტელევიზია
ავგუსტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ნეფთი“ (ბაქო) — 20.00; „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“ (ერზრანი) — 23.05; საფეხბურთო მიმოხილვა — 0.15.

I სექტემბერი. საფეხბურთო მიმოხილვა — 9.40.
საპარტიველოს რადიო. 31 აგვისტო. რადიოტურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.00; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ნეფთი“ (ბაქო) — 21.00; „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“ (ერზრანი) — 22.00.



სპორტული სექტემბერი

რედაქტორის მოადგილე თ. გარეჩილაძე